ქ.თბილისი 01 აგვისტო 2018 წელი

# ტენდერი

კომპანია "ფრეგო" წარმატებით ახორციელებს საწვავის იმპორტს საქართველოში სხვადასხვა ქვეყნებიდან. კომპანია „ფრეგო“-ს მიზანია: შექმნას საქართველოს ბაზარზე მძლავრი ქსელი, რომელიც მოწინავე პოზიციებს დაიმკვიდრებს მომხმარებლის მსყიდველობით გადაწყვეტილებაში, რაც განპირობებული იქნება ფასის, ხარისხისა და მომსახურების უპირატესობით კონკურენტებთან. ორაგნიზაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.frego.ge

*კომპანია „ფრეგო“ აცხადებს ტენდერს კომპანიის ავტოგასამართ სადგურებზე დასაქმებული პირებისთვის ზამთრის უნიფორმების დამზადებაზე.*

ზამთრის უნიფორმა

*რენდერი N1* *რენდერი N2* *რენდერი N3*









**სატენდერო მოთხოვნები:**

**ზამთრის უნიფორმა**

**ქურთუკის აღწერილობა**

1. ქურთუკი უნდა იყოს დათბილული და ქონდეს სასარჩულე ნაჭრის (პრიალა) სარჩული, დალიანდაგებული ზოლებით.
2. გულის შიდა ჯიბე (არ არის რენდერ N1-ზე მოცემული, მაგრამ იგულისხმება) უნდა განთავსებულ იქნას ქურთუკის შიდა მარცხენა მხარეს და მისი ზომები უნდა იყოს. სიგანე - 17 სმ; სიღრმე 18 სმ.
3. ქურთუკის გარეთ, ზედა ჯიბეები უნდა შეიკვრას ელვით. სიგანე - 17 სმ; სიღრმე 18 სმ.
4. ქურთუკის ზედა მარცხენა ჯიბის ზემოთ უნდა იქნას ამოქარგული კომპანიის ლოგო, კომპანიის დასახელების წარწერით: „ფრეგო“ “FREGO”, რენდერი N2-ს მიხედვით
5. ქურთუკის ქვედა შიდა ჯიბეების ზომები უნდა იყოს (შიგნიდან მიკერებული)შემდეგი: სიგანე - 18 სმ; სიღრმე -20 სმ. ზემოდან გადმოწეული 5 სმ-იანი ჯიბის საფარით. საფარი უნდა იყოს ფხრიწებით (მარცხნივ - 3 სმ. მარჯვნივ 3 სმ).
6. მანძილი ქვედა ამრეკლ ზოლსა და ქვედა ჯიბეს შორის უნდა იყოს 11 სმ.
7. ქურთუკის ჯიბეების სარჩულის მასალა უნდა იყოს: იგივე ნაჭრის, რომლისგანაც შეკერილი იქნება უნიფორმა.
8. ქურთუკზე ამრეკლის თითოეული ზოლის სიგანე უნდა იყოს 3 სმ. ამრეკლ ზოლებს შორის მანძილი - 3 სმ.
9. ქურთუკის ქვედა წითელი ზოლი უნდა იყოს 10 სმ.
10. ქურთუკის სიგრძე წელს უნდა სცილდებოდეს 10 სმ-ით ქვევით.
11. ქურთუკის უკანა მხარეს უნდა ამოიქარგოს ლოგო, კომპანიის დასახელების წარწერით: „ფრეგო“ “FREGO”, რენდერი N3-ს მიხედვით.

**შარვლის აღწერილობა:**

1. შარვლის წელი უნდა იყოს წელვადი (რეზინით) N6 საქამრით.
2. შარვალი უნდა შეიკვრას ერთ ღილზე და ელვაზე.
3. შარვლის ზედა ჯიბეები 20სმ. -სიღრმის. რენდერ N1-ში მითითებული ოვალით.
4. შარვლის ქვედა ჯიბეები - გარედან მიკერებული გადმოსადები 5 სმ-იანი წითელი ფერის საფარით, მოკლე ფხრიწებით გვერდებზე (მარცხნივ - 3 სმ. მარჯვნივ 3 სმ) ჯიბის სიგანე 18 სმ. სიღრმე 20 სმ. ჯიბის სიგრძე არ უნდა გასცდეს მუხლის სახსარს.
5. შარვლის უკანა ჯიბეები - გარედან მიკერებული გადმოსადები წითელი ფერის 5 სმ-იანი საფარით მოკლე ფხრიწებით გვერდებზე (მარცხნივ - 3 სმ. მარჯვნივ 3 სმ) ჯიბის სიგანე -18 სმ; სიღრმე - 20 სმ.
12. შარვლის ყველა ჯიბის სარჩულის მასალა უნდა იყოს: იგივე ნაჭრის, რომლისგანაც შეკერილი იქნება უნიფორმა.
6. შარვალზე ორივე მხარეს ამრეკლის თითოეული ზოლის სიგანე უნდა იყოს 3 სმ.. ამრეკლ ზოლებს შორის მანძილი - 3 სმ.
7. შარვალზე ამრეკლი ზოლებს შორის დაშორება უნდა შეადგენდეს:3 სმ-ს.
8. შარვლის ჯიბეების სარჩული უნდა იყოს დათბილული.

**გამოყენებული მასალა:**

უსაფრთხოების სტანდარტების მიხედვით მატერია უნდა იყოს წყალგაუმტარი („პლაშოვკა“). მნიშვნელოვანია მატერია, რითიც დამზადდება უნიფორმა. ამიტომ გთხოვთ შემოგვთავაზოთ მასალის სახეობები და გარდა ამისა რენდერის მიხედვით შეკერილი ერთი ცალი უნიფორმა.

ზამთრის უნიფორმების რაოდენობა

| უნიფორმის ზომა | S | M | L | XL | XXL | XXXL | XXXXL | უნიფორმების რაოდენობა (ცალი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უნიფორმის რ-ბა | 13 | 33 | 36 | 42 | 16 | 3 | 3 | 146 |

გთხოვთ განფასება შემოგვთავაზოთ 2018 წლის 19 აგვისტოს ჩათვლით:

- ზამთრის უნიფორმების განფასება (ქურთუკის და შარვლის ცალ-ცალკე);
- ზემოთმოყვანილი სამუშაოების შესრულების ვადა.
- შეკერილი უნიფორმის (ქურთუკი, შარვალი) ნიმუში.
-


**Tamar Kakabadze**

Head Of Administration Department, FREGO LLC

Phone: +995 32 2999910 (103)
Mobile: +995 574 900 440
Email: tamar.kakabadze@frego.ge Website: www.frego.ge
Address: 145, A. Beliashvili Str. 0159 Tbilisi, Georgia